საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 496/ს

19 06 2019წ.

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2019 წლის 14 ივნისის №755269 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესი და პირობების" (შემდგომში - წესი) მე-12 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ცენტრის მიერ დადასტურდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"-ს პროფესიული მომზადების პროგრამები:
ა) სასტუმროსა და რესტორნის საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა;
ბ) სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურება (მესამე დონე);
გ) ტანსაცმლის დეტალების შეერთება და თბურ-დანამვითი მოწყობილობების ოპერირება.

2. განხორციელდეს ამ ბრძანების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (შემდგონში - ჩარჩო) დონის ცვლილება, კერძოდ, ჩარჩოს მე-3 დონის ნაცვლად განისაზღვროს ჩარჩოს მე-2 დონე.

3. განხორციელდეს ამ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (შემდგომში - ჩარჩო) დონის ცვლილება, კერძოდ, ჩარჩოს მე-3 დონის ნაცვლად განისაზღვროს ჩარჩოს მე-2 დონე.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე